

მე-11 კლასი

ანალოგიები

ძრავა:გული

ა. თვალი:ნათურა ბ. საწვავი:სისხლი გ. გონება:საჭე

დაგეგმილი : სპონტანური

ა. ადგილობრივი:გლობალური ბ. სქემატური:დეტალური გ. ხშირი:პერმანენტული

მონაკვეთი:წერტილი ხიდი:

ა. ნაპირი ბ. ქალაქი გ. მოაჯირი

წინადადებების შევსება

საგნის საფუძვლიანად შესასწავლად _____ საკმარისი როდია. _____ მეცადინეობებიც.

ა. მხოლოდ თეორიული განათლება/აუცილებელია პრაქტიკული

ბ. მხოლოდ თეორიული განათლება/არ არის აუცილებელი პრაქტიკული

გ. მხოლოდ პრაქტიკა/არ არის საჭირო თეორიული

რაც უფრო _____ ღირს პროდუქტი, მით უფრო _____ მყიდველი ყავს მას, რადგან მიჩნეულია, რომ ყველაფერი ხარისხიანი _____.

ა. ძვირი/მეტი/ძვირიცაა

ბ. იაფი/ნაკლები/იაფია

გ. იაფი/მეტი/ძვირიცაა

სინოპტიკოსების აზრით გუშინ _____ უნდა ყოფილიყო, თუმცა _____ამინდი იყო.

ა. წვიმა/საკმაოდ ცივი

ბ. წვიმა/მზიანი

გ. წვიმა არ/მზიანი

ლოგიკა

კინგსის ოლიმპიადის წინ მასწავლებელმა ივარაუდა:

„სანდრო 30 ქულას მაინც დააგროვებს“

ოლიმპიადის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის ვარაუდი გამართლდა, თუ:

ა. სანდრომ დააგროვა 25 ქულა

ბ. სანდრომ დააგროვა 35 ქულა

გ. სანდრომ დააგროვა 20 ქულა

ცნობილია, რომ თუ ლაშა წავა ბათუმში, მასთან ერთად წავა გიორგიც. ხოლო თუ გიორგი წავა ბათუმში, მასთან ერთად წავა ნიკაც. ამ სამი ბიჭიდან ბათუმში მხოლოდ ერთი წავიდა. ვინ არის ის?

ა. ლაშა ბ. გიორგი გ. ნიკა

დავუშვათ, რომ მოსამართლე ნიკას მხოლოდ სამართლიანი განაჩენი გამოაქვს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არაა აუცილებლად მართებული?

ა. თუ განაჩენი ნიკას გამოტანილია, ე.ი. ის სამართლიანია

ბ. არ არსებობს ნიკას გამოტანილი განაჩენი, რომელიც სამართლიანი არაა

გ. თუ განაჩენი სამართლიანია, ე.ი. ის ნიკას მიერაა გამოტანილი

მონაცემთა საკმარისობა

მოცემულია ორი პირობა:

I : a 9-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 4-ს

II : $(a+5)$ იყოფა 9-ზე

იმისათვის, რომ გავიგოთ იყოფა თუ არა a 3-ზე

ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

საბამ დახატა მრავალკუთხედი. მოცემულია ორი პირობა:

I : საბას მრავალკუთხედს 4 კუთხე აქვს

II : საბას მრავალკუთხედის გარე კუთხეების ჯამია 360°

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის საბას მრავალკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი

ა. მოცემული პირობები არ არის საკმარისი

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. I პირობა საკმარისია, II კი არა

მოცემულია ორი პირობა:

I : $|a| = 5$

II : $a > 0$

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის a^3

ა. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

ბ. I პირობა საკმარისია, II კი არა

გ. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

მათემატიკური აზროვნება

რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ $A=B$

$$A = 3^6$$

$$B = 2^9$$

ა ბ გ

ორნიშნა ნატურალური რიცხვის ციფრთა ჯამია 10, ხოლო ციფრთა ნამრავლი 24. იპოვეთ ყველა ასეთი ორნიშნა რიცხვის ჯამი.

ა. 165 ბ. 110 გ. 132

ნინოს ხელფასი გაეზარდა 4.3-ჯერ. რამდენი პროცენტით გაეზარდა ნინოს ხელფასი?

ა. 330%-ით ბ. 430%-ით გ. 340%-ით